

140
1972/2

အကျင်းမြန်မာ
စောလုပ်ဂါရမတော်



3
1972

အကျင်းမြန်မာ

ქა [ქა ქა ქა]

სიმონ შავდაბაძე

ვით ცას რიცრაუის ფერი,—
მას შენზე ფიქრი შვენის;
ის—ან დედაა შენი,
ან—დაა იგი შენი.


საღ არ ანთია სანთლად
მისი მართალი ხელი!
ზღვაში ხომალდებს მართავს,
მინდვრად ვაჟკაცებს შველის.

უსათნოესი მზერით
თავს დაჰკანკალებს აკვანს...
ჩვენი მამულის გზები
სავარსკვლავეთშიც გაჰყავს;


უველგან სიყვარულს აპნევს,
ტრიალებს შინ და გარეთ...
დიდი მომავლის ლამპრებს
უნთებს სამშობლო მხარეს.

ომის მოძულე მარად,
ის თვალს უსწორებს დრო-უამს,
მწვანე მთა-ბარის ფარად
მოაქვს მშვიდობის დროშა.

გულგაბრწყინებულს რწმენით—
წრფელი ქალობა შვენის,
ის—ან დედაა შენი,
ან—დაა იგი შენი.



თერა
სახელი



ბელა და დათო მეგობრები არიან.
ბელამ ყოველგვის იცის, სად
არის დათო. თავის მხრივ, დათოსაც
შეუძლია შეუცდომლად დაასახელოს
ბელას აღგილსამყოფელი.

ამაში არაფერია გასაყიდველი.
ერთ, ორმ ერთმანეთის მახლობლად
ცხოვრიბენ. მეორე კიდევ, ერთ
კლასში სწავლობენ. მაგრამ ამას გარ-
და კიდევ არსებობს ისეთი კუთხე-
კუნჯული მათი ბავშვური ცხოვრები-
სა, სადაც ბელა და დათო კვლავაც ერ-
თად მოხვედრილიან — ისინი ერთი
ვარსკელავის ოქტომბრელები არიან.

ვარსკელავს „გვირილა“ ჰქვია.
ხელმძღვანელი დათოა.
ვარსკელავში მეორე დათოცაა.
ანუ დათუნა. ბიჭებს ერთმანეთი



თბილი

3
არტი
1973

საქართველოს აკადემიური
კომისიერების და 3. 0. დ ე რ ე ბ ი ს დ ა დ ი ს ი
მიმღები კომისია მარატ ბაბუანის
სახელმწიფო სამეცნიერო აკადემიის
სამსახურის მიმღები

გამოიცის 1926 წლიდან

საქ. ს ს ს ს ს



გამოიცის მდგრადი

მარინა პირიშ ლობა...

მოსამზადებელი ჯგუფიდანვე მოე-
წონათ. ასე შეიქა მეგობრული სა-
შეული: ბელა ბორაშვილი, დათო ვა-
შავიძე და დათუნა რობაქიძე.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ
ამ სამეცნიერო თანამშრომაბა მაინც და-
მაინც ვერ ხერხდება. ბიჭებს თავი-
ანთი საკუთარი სამყარო აქვთ, სა-
დაც, მათი აზრით, ბელა კიდეც რომ
შეიყვანონ, მაინც ვერას გაიგებს.
იმიტომ, რომ გოგოა. და აკი არც
შექმავთ. გოგონა ქარგად ხელავს,
რომ დროდადრო ბიჭები გაკიდე-
განდებიან, რაღაცას ჩურჩულებენ

და, როგორც სახეებზე ეტყობათ, კა-
მათობენ კიდეც; მაგრამ, როგორც
კი მოახლოებულ ბელას თვალს მოჰ-
ქავენ, ვითომც აქ არაფერიო, გა-
ჩუმდებიან.

ზარი რომ დაიჩიდება და მერხებ-
ზე ჩამორიგდებიან, დათო ხშირ-ხში-
რად მიიხედავს მის ზურგს სუკან
მჯდარ ბელასენ და შემარიგებლად
გაეკრიჭება. მერე დაარიგებს: ბიჭე-
ბის საქმეში გოგომ ცხვირი არ უნდა
ჩაჩროსო.

— არცა ვჩირი, თქვენ — თქვენთ-
ვის, მე — ჩემთვის!





რეჟისურის არისტიკა ლია ლობიძე.

მაგრამ გოგო გულჩივილია და თავისი მუქარა არასოდეს სისრულეში არ მოჰყავს.

ამ ბოლო დროს ბელას ახალი საჭუხარი გაუჩინდა. დათომ ვაშაკიძეს მარინე ქობულოვასთან ერთად პატარა პიესა შოებზალებინა. როლები შესაფერისად გაუნაწილებინათ: დათვი დათომ ბრძანდებოდა, მარინე კი ბაჭია. ბელამ ეს ამბავი მაშინდა შეიტყო, როდესაც ყმაწილები ლია მაწავლებელს წარუდგნენ, შეგვამოწმეთ, კარგად გაძოგვიდა თუ არა.

მარინე მეორე ვარსკვლავს ხელმძღვანელობს, რომელსაც მისი წინადაღებით „სიხარული“ დაერქვა. „სიხარული“ რა სახელაო, დაუწუნა მაშინ ბელამ. მე რომ ხელმძღვანელი ვიყო, ვარსკვლავს რომელიმე ნაძღვილი ვარსკვლავის სახელს ვუწოდებით.

ბელას აზრით, მარინე ცოტა მეტი ჩარჩაა. ყოველ დღე სკოლაში ახალ ახალ ნახატებიანი წიგნი მოაქვს. სიმართლე რომ ითქვას, მარინე კარ-

გა გამართულად და სასიამოვნოდ კითხულობს, მაგრამ თუ კითხვა უნდა, თავისთვის იქითხოს; შესვენება კი იმიტომ არის, რომ მოსწავლეებშია ცოტა გაიარ-გამოიარონ. ხოლო მარინე ბავშვებს ამის საშუალებას არ ძლევს. მასწავლებელი გავა თუ არა, კრუნივით შუაში ჩადგება, ყაზარვილებს გარს შემოიკრებს და წიგნის კითხვას დაიწყებს. ამიტომაც შეარქევს დედიკა. იმასაც თავი ნამდვილი უფროსივით უჭირავს. „ნელი წერძლებანელიც კი, რომელიც თითქმის ყოველ შესვენებაზე ჩვენთანაა და თავს ჩამეს გვასწავლის, უფრო ხმა-ლაბლა ლაპარაკობს“, — ფიქრობდა ბელა.

დათოსა და მარინეს მიერ პიესის მომზადებამ მთლად გაუტეხა გული ეჭვიან გოგოს. როგორ, ბაჭიას სათქმელს განა მე კი ვერ დავისწავლილი, რაღა მაინც დამაინც მარინე გამოარჩიო, — შფრთავდა ის, დათოს კი გაუთავებლად საყვედურობდა: ბიჟებმა მეგობრობა არ იცით.

დათო ბელას ჩაუინებამ ჩააფიქრა,

ეს გოგო მართალი არ იყოს, და ამიტომ, რომა ერთხელ ნელი ხელმძღვანელი კლასში შემოვიდა და ვარსკვლავების კუთხების დათვალისწილება დაიწყო, გულშრფელად შესჩიდა: — კუთხები კი წესრიგშია, მაგრამ ჩვენი ამხანაგობა — ვერა.

ნელიმ მიზეზი იყითხა და გაიღომა:

— ხელმძღვანელო, — დაიწყო მან, — თუ შეიძლება, მითხვით, ვარსკვლავები ერთმანეთს მართლა ვეჯიბრებით თუ ტყუილად? თუ მართლა ვეჯიბრებით, მაშინ ხომ უნდა ვცდილობდეთ, რომ კარგი საქმეები სწორედ ჩვენს ვარსკვლავში ვაკო-თოთ და არა სხვაგაბა?

— ამისხენით, არაშია საქმე! — სთხოვა ნელიმ ბავშვებს.

უცბად დათო წამოდგა:

— მე და მარინე ქობულოვამ პატარა პიესა მოვამზადეთ. მარინე კარგად კითხულობს და ბაჭიას როლი ამიტომაც მივეცი, არ მეგონა, რომ ამით ჩემს ვარსკვლავს დავაზრალებდი. ახლაც ასე მეგონია. მართალია, ვარსკვლავებად ვართ დანაწილებული, მაგრამ ხომ ერთ გელუში ვსწავლობთ? განა ვარსკვლავის წევრს ეკრძალება სხვა ვარსკვლაველთან მეგობრობა?

ოქტომბრელთა ვარსკვლავის ხელმძღვანელი, მეხუთეკლასელი პიონერი ნელი თოთაშვილი დაფიქრდა. ბავშვების დავა ძნელად გადასაწყვეტილ მოუჩენა.

— სერიოზული ამბავია, — თქვანით, ჩვენი ნელი ნიკურაბე მოეწვით, ჩვენი პიონერების ხელმძღვანელების და ერთად ვიმსჯელოთ, მართალია თუ არა დათო. შეეძლება ოქტომბრელთა კლუბსაც შევეკითხოთ, ის თუნდაც ოქტომბრელებთან მეგობრობის საბჭოს, სადაც ძალიან საპატიონ შემადგენლობას უფროსი პიონერებისა და კომკავშირელებისა.

მეორე ღლეს დავა მოულონებულად ჩატარა, რადგან ლია მასწავლებელმა საკითხი კამათის გარეშე გადაწყვიტა: ამგვარი შეკითხვის დასმენი არ გეკალიბრებათო. დათო ვაშაკიძეს გულშიც არ გაუგლია არც ელას წყვინინგბა და არც თავის ვარსკვლავის დაზარალებაო. ვარსკვლავები იმიტომ ეჭიბრებიან ერთმანეთს, რომ მთელი კლასი დაწინაურდეს. მერე გაიხსენა ის დღე, როდესაც პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში საზემოდ მთელი კლასი ოქტომბრელთა რიგებში მიიღეს და ალმი დიდი ამბით დათობ ჩაიბარა. განა შეიძლება, რომ ამ ბიჭს თანაკლასელთან მეგობრობა ავუკრძლოთო?

მასწავლებლის სიტყვებმა ბელას გული კი დაუამა, მაგრამ უსიამოვნო ეჭვებისაგან შთლიანად მაინც ვერ გა- მოიხსნა თავი.

„რა იქნებოდა, წინასწარ ეთქვა, — აღარ მეწყინებოდა. განა მეგობარს ჩაიმუშავდნენ? არც არა- ფრი დათუნას წამოსცდენია, ვითომ რატომ?“

ბელა მომდევნო დღეებში მეგობ- რებს აღარ გაჲკარებია. ნელი ხელმ- დოვანელმაც ვერ შეატრიგა ისინი. კვი- რა დღეს კი დათომ ველარ მოითხი- ნა, ბელასთან შინ მიირბინა და შე- გონება დაუწყო:

— თუ ბიჭებთან მეგობრობა ვინ- და, გოგოსავით კი არ უნდა იძუტე- ბოდე წამდაუწუმ, ვაჲკაცი უნდა იყო. ახლა წამოდი, ეზოში ჩავიდეთ, ფე- ხადი ცარტუბი ვიშოვე, ასტალტზე ვხატოთ და გავეჭიბროთ, ვინ სწა- ფად და სწორად დახატავს იმ ნიშ- ნებს, რომლებიც რამდენჯერმე გვიჩ- ვენეს ლია მასწავლებელმაც, ნელი ხელმძღვანელმაც. და ჩემო ბელა, თუ ჩვენი ვარსკვლავის დაწინაურე- ბა გინდა, უნდა ივარჯიშო კიდეც სწრაფ ხატვასა და სირბილში, რომ გაზაფხულზე ოქტომბრელადა გაუ- ფების შეგიბრებაზე გავიმარჯვოთ, რომ თქვან: ნელი ხელმძღვანელის ვარსკვლავი უველაზე პირველია.

— ჩვენ ხომ მაგ თამაშს „პატარა ცისკარი“ შევარევით, რადგან პიო- ნერების „ცისკარს“ ჰგავს?

— დიახ, შევარევით. და იმ დღეს, შენ რომ ავად იყავი, ნელი ხელმ- დოვანელმა დამარიგა, ბელა ძალიან სწრაფი და საზრიანი გოგოა და გა-



პატარა ცისკარის დამართულიანი თანამდლასელთა უორის.

აგარჯიშეო. პოდა, წამო ეზოში!

ბელას მთელი ნაწყენობა ერთბა- შად გაუქრა. მერე თვითონაც გაიხ- სენა:

— ნელი ხელმძღვანელი ხომ ჩვე- ნი სკოლის ოქტომბრელშეზეც გველაბარავა, პიონერმშენის მსგავ- სი არისო, გვითხრა და ჭართისა და მაჯულატურის შეგროვება დაგვავა- ლა. მერე ის იყო, ვეზიდებოდით და ვეზიდებოდით. მაგრამ სწავლა? ჩვენთან ხომ ყველა გამართულად ვერ კითხულობს? მაგალითად, მე-

დათომ გაიცინა.

— რა გაცინებს?

— ისა, რომ, რაც მეტს ისწავ- ლი, შენც უფრო გარებს და

სხვებსაც, დახმარებით კი შენცა და მეც თამრის უნდა დავეხმაროთ. ასე კეთებენ სხვა ჩვენი გეუფის ვარსკ- ვლაველებიც: „ყაყაჩი“, „ვარდი“, „სიხარული“...


— მასწავლებლობა არ არის ჩემი საქმე, — დაფიქრებით თქვა ბელამ და მერე უცებ ინატრა: — იცი, რა მინდა, დათო, — ჩვენც, ოქტომბ- რელებსაც, გვერდეს ჩვენი საკუ- თარი კონკურსი, დიდი შეჯიბრება, ისეთი, როგორიც პიონერებს აქვთ. ახლა ჩვენ მხოლოდ მათს საქმეებს ვიმეორებთ. ასე არ არის? ისიც ცი, რასაც ჩვენ ჩვენი სურვილითა და მონდომებით ვაკეთებთ, მათს მეგო- ბართა საბჭოს ეთვლება.

დათომ გაიღიმა.

— სულ იღიმები და იღიმები, — აღმფოთდა ბელა.

— ვიღიმები, მაშ, რა ვინ გოგო და ვინ ამოდენა თავსატეხი. ასეთ საქმეებს ჩვენზე უფროსები აგვარე- ბენ. მათ იციან, რომ კაცს, რომელ- შიც გამართულად კითხვაც არ იცის, არ შეიძლება მოსთხოვო ნამდვილი მუშაობა. ამიტომ მეგობართა საბჭო, რომელიც პიონერებს და კომავში- რელებს ჩვენს მოსავლელად დაუარ- სებიათ, ნაძვილად საჭიროა. ისინი რომ არ დაგეხმარებოდნენ, განა ჩვენ მარტინი შევეძლებით ისე ლამაზად წარმოვედგინა შემოდგომის ზეიმი, ან ანგანთან გამოთხვების სალამო, ანდა ზღაპრების სამყაროზ გახსოვს, დიდებსაც უხაროდათ და ტაშს გვიკ- რიანენ.

— არ იცი, — თქვა ბელამ, — აღბათ, მართალი ხარ და, აღბათ, უველაფერი ჩემი ბრალია: ისიც, რომ შენ გაწყენინე, და ისიც, რომ ასე გელაპარაკები.



ცურადღებით უ- მონი ნალი ხალა- ძლიანელს დათო და დათუნა.

ამ დროს, სად იყო და სად არა, დათუნა რობაქიძე გამოჩენდა. ბელას თავი დაუქრა და დათო განზე გაიხმო.

ბელა ამზრიშა, რაღაც უნდოდა ეთქმა, მაგრამ თავი შეიკავა. ერთ-ერთ თვალშორიშობლივ უყურებდა, როგორ გატაცებით ლაპარაკობდნენ ბიჭები, მერე კი ველარ მოითმინა და გვერდით ჩაუქროლა.

— ბელა! — დაუძახა დათომ, — მე დათუნას გავუვები, გადაუდებელი საქმეა, შენთან ბოდიშს ვიზდი, მერე ვითამაშოთ, არ მოიწყიო!

— მალე დაბრუნდები?

დათო შეყოვნდა, მერე ამხანაგს მიუბრუნდა:

— დათუნა, მოდი ბელაც წავიყვანოთ. ცოტას ესეც მოვგეხმარება.

რა ხდება? — იკითხა გოგომ.

— ქვემო სართულიდან მეოთხეზე ააქვთ. შეექრებილი სამუზეუმო მასალები. მათ ძალზე ფრთხილი გადატანა უნდა. დათო ახლო ცხოვრობს და ამიტომ ნელი ხელმძღვანელმა აქ გამომგზავნა, დაუძახეო, — აუსნა დათუნამ.

ბავშვებმა მშობლები გააფრთხილეს და სკოლისკენ მოკურცხლეს.

მათი სკოლა — თბილისი 146-ე

საშუალო — ვარკეთილშია. იგი ახლია ისევე, როგორც მთელი ვარკეთილის უბანი, მაგრამ უკვე მოუსწრიათ მისი გულმოდგინედ გამართვა. პირველი სართული მოძრავ გამოიყენებს ეთმობა ხოლმე. ხელოვნების მუშეუმიღან აქ მონაცემეობით მოაქვთ და მოაქვთ ექსპონატები და ბავშვები ხალისით ეცნობიან მათ.

ბელა სართულზე ლენინის მუზეუმია.

მესამეზე — საქართველოს მუზეუმი.

მეოთხეზე, სადაც უველა ოქტომბრელთა კლასი სწავლობს, პიონერთა ორგანიზაციის 50-ე წლისთავისათვის პიონერული და კომისარიული მუშეუმის მოწყობა ჰქონდათ გათვალისწინებული. მასალები დიდი ხნის მანძილზე გროვდებოდა და ძველოთ, პიონერთა ოთხში ინახებოდა. როგორც ჩანს, ახლა, საგზაფხულო არდაცემის წინ, მისი გამართვა გადაეწყვიტა. აი, აქ მოვიდნენ ჩვენი ყმაწვილებიც. კიბეები მხიარულად აირბინეს და უცბად შედგნენ. უფროსები დერეფანში ფუსფუსებდნენ. აქ იყვნენ პიონერელმძღვანელები — ბიძინა ჩოლოყაშვილი და ნელი ნიკურაძე, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე დათო მამნიაშვილი,

ოქტომბრელთა კლუბის თავმჯდომარე ლია დალაქიშვილი, პიონერები, კომკავშირელები...

— მოსახმარებლად მოხვედით! — გაიგონეს მათ ნელი ოთიაშვილის ხმა. მერე ხელმძღვანელიც გამოჩენდა, მხიარული, ხალისინი, და ბავშვებს თავისთან უხმო.

ეს დღე — მუშეუმის გამართვის დღე — ბელას, დათოს და დათუნას გაახსოვდათ, როგორც განუმეორებელი მაღლაცვლა, როგორც დღე როცა თითქმის ხელით ეხებოდნენ გმირი პიონერების და გმირი კომკავშირელების ხსოვნას, მათი ცხოვრების დაუვიწყარ დღეებს. აქვთ და კიბეებზე ჩარჩობში ჩასმულ მათ პირტოვეტები, აქეონდათ ფრთხილად, ყველაზე მაღალ სართულზე ჩათ შემდგომ ნათელი კედლებიდან მზირალნი ენახათ; აქონდათ ლამაზი, პატარა ბროშურები თითოეულ გმირის შესახებ მოაბენი, და მათ ყმაწვილეულ სულში ისახებოდა გურკვეველი, გამოუკვეთელი, მაგრა კეთილი და ამაღლვებელი სულები. ო, როგორ უნდოდათ, გაემთხვებინათ რაღაც დიდი თავიანთი ხალხისა და ქვეყნისათვის, ყოფილყვენენ ძლიერნი და ამაცნი მტრის წინაშე, როგორიც იყო ეს სახელმომადიდო უფროსი თაობა!

ფლევადელია ზამთარია. ზესვენი.
გებაც სხვა ეჭვი მისცა.



რა მოს-ზორა კუჭონია!

ელიავალი მიგვაფრენს
სწრაფზე სწრაფი, ახალი.
ირგვლივ ვეღ-მინდვრებია,
შორის, შორის მთები მაღალი.

არ იღევა ყაყაჩო,
ყველგან შუქის მომფენი,
ახრილ-დახრილ სერებზე
ჩამომსხდარი სოფლები.

მაგარებლის გუგუნი
სიმღერაა გაბმული.

გავიარეთ გვირაბი —
დიდი გამოქვაბული.



მოჯარდნენ და მოჯარდნენ
მთები ძმებად ამდგარი...

მხარზე თოფით,
ზურგზე ჩანთით
გყისკენ თამაშ-თამაშით
სანადიროდ გზას გავუდექ
და გავედი ჭალაში.

— რეზოაო, — აჩურჩულდნენ
ყვავილები ცქრიალა,
მისალმება ვერ მოვასწარ,
შაშვია შეიფრთხიალა.

შევგრიალდი, დავინახე,
თოფი მარჯვედ გავმართე,
— ვესროლო თუ არ ვესროლო?! —
ჩემს თავს გავეკამათე.

ნარიაზი

მოლზე ხგოდა მაყვლის ბუჩქთან
ის ხმატებილი ფრინველი.



რა ხანია მოვდივართ,
ჯერ ზღვის პირი სად არის!

ვეუბნები დედიკოს:
ბებოც წამოგვეყვანა.
რა მთა-ბარი გვეონია,
რა ფერადი ქვეყანა!

ის ღრუბლებიც მთებს იქით
თუ ჩვენს ცაზე მიღიან, —
მცირე ჩვენი ეზოა,
საქართველო დიდია.

არ მავიწყდება, არა,
ის დიდი რიდი, ლხენა,
როცა პირველად ვნახე
ლამაზი „დედა-ენა“.
ფერად-ფერადი ჩხირი,
ოცდაცამეგი ასო...

რა მაჟინეგა



ვუყურებდი, არ ვჩეარობდი
ამ სიცოცხლის მხილველი.

მიკვირს, უმალ სად მოვძებნე
მოხდენილი საფარი
და ჩემს ხელში, თოფის ნაცვლად,
როგორ გაჩინდა ფანქარი.

მივხვდი მაშინ, კაცის გულში
რა სიკეთეს რა ბადებს,
რასაც უზმოდ სილამაზე
და სიცოცხლე ღალადებს:

დავჯევი და იმ გუნებით
ის ფრინველი დავხატე.

ეს გაზაფხულიც ფუნჯით
უბადლო სურათს ხაგავს,
ფერებით სავსე ხურჯინს
ნიავს მთა-ბარში აგანს.

გყემალს უბოძა თეთრი,
წუშს-ვარდისფერი კაბა.
ნაკადული ლვარს ერთვის,
ის ლურჯ თვალებს ნაბავს.

ყველგან სიცოცხლე დადის,
ხნულშიც სიცოცხლე ხარობს.
გადაუყრია დარდი,
ჰე, რას კისკისებს წყარო!

უნდა ავიდე მთაზე,
უნდა ვესგუმრო კორდებს.
გულია ლხენით სავსე,
ნეგავი ფრთები მქონდეს!



მე პირველ მერჩზე დამსვეს
ერთ ჭინკა ბიჭთან, მახსოვს.

ასე გავიდა წლები...
ფიქრი აყვავდა სულში.
ფერად-ფერადი ჩხირი,
თითქოს მიყიდეს გუშინ.

სულ შემოვივლით ფეხით
მშობლიურ გყევებს, მთა-ბარს.
ვერ შემაშინებს მეხიც,
ლამაზ ბუნებით დამტკბარს.

მოვინაზულებ მრავალს
მთის წვეროებს და უბეს.
ო, ისე მაღლა ავალ,
ქოჩორში წავწვდე ღრუბელს —
აბრიალებულ ღრუბელს,
რომ ცახცახებს და იწვის.

ო, ჩვენს დალოცვილ მხარეს
რა გაზაფხული იცის!

მარაგებული მუსიკოსის მისან



ელენა
ხაჩიშვილი

აო თ ხ რ ი ბ ა

შატვარი
ზურაბ ცორჩებიძე

თავხალუნული მიცდიდა. აღარ დამაცადა, რომ მე-
ტოხა რამე.

— რა გავიგე, იცი, რამიზ? იცი, რა წავიკითხე? მი-
თხრა სლუქუნით, — წელან ვანდა მასწავლებელმა შინ
რომ გამგზავნა...

ვიგრძენი, ბიჭები მოგვიახლოვდნენ უკანიდან, მავრამ
არ გავნძრეულვარ. ვეის მოლოდინმა გამაშეშა.

..... რვეულების ასაღებად რომ მივედი, სურათი მო-
მხვდა თვალში, საყვავილეზე იყო მიყუდებული... უბრა-
ლო ჩატროში ჩასმული...

— საყვავილეში თეთრი იასამნის ტოტები ეწყო.

ფურცლები ს ცვიოდა. ვიფიქრე, წყლის გამოცვლა და
წყებია-მეტერი... სურათი ხელში იყიდე და საყვავილე
წავეტანე... წავეტანე და რაღაცნარიად ის ქალალდი შე-
რჩა ხელში... სურათის უკან იდო...

— რა ქალალდი?

— მისი ვაჟის დაღუპვისა. — გული ამოუჯდა.

— რას ამბობ, გოგო, იქნება კარგად ვერ წაიკითხე. —
შიჭებმა წრე შეკრეს მელსის გარშემო.

მელსი სლუქუნებდა.

— ყოველი სიტყვა ზეპირად მახსოვეს... შარშან მა-
რტში მიუღია.

— ტყუილი იქნება. შეიძლება შეცდომით მოვიდა, —
ვთქვი მე, — ვანდა მასწავლებელს ახლაც მოსდის შვი-
ლისაგან წერილები.

— რა თქმა უნდა, ტყუილია, ფრონტზე ხშირად ხდე-
ბა ასე. — დამეთანება თეზო, — ნახავნ თავმოგლეჯილ
კაცს და წადი გაიგე, ვინ არი.

— არა... ტყუალი არ იქნება, — სლუქუნებდა შელ-
სი, — მე ვიცი...

— წამოღით, ფოსტალიონს ვკითხოთ. — თქვა ლა-
ლებ.

სტანგელამ მოირბინა და ქაქანით გვითხრა:

— წამოღით, ლახტი არ გინდათ?

ხმა არავის გაუცია. იგვერდ-დაგვერდა, გაბრუნდა და
წავიდა.

გზის გასაყართან ბიჭები შევაჩერე.

— ყველა ხომ არ წავალთ ფოსტალიონის საძებ-
ნელად, ორნიც ვეყოფით.

თეზოს ვანიშნე, შენ წამომყე-მეტქი.

— არა, ყველა ერთად უნდა წავიდეთ, — დაიუინა
ასმათმა, — მე და მელსი შინ შევირბენთ, წიგნებს დავა-
წყობთ და ახლავე აქ გავჩნდებით.

ფოსტალიონს კითხვა-კითხვით მივაგენით. სოფლის
თავში აველით. ლალე ვიღაცის ქაზიში შევიდა და დია-
სახლისს დაუწყო ძანილი, დანარჩენები ორლობეში ვე-
ლოდებოდით.

ფოსტალიონმა ძლივს გამოათხია დიდი ჩანთა ვიწ-
რო კუტიკარში. გამარჯობათ, ბავშვებო, აქ არა მოგოყვა-
ნათო, დაგვახა და წინ გაგვიჩერდა. თვალები თეთრზე
ჰქონდა დაყენებული, იტყოდი, საკუთარ ცხვირს მიშ-
ტერებიაო, იდგა და ენას აწყლატუნებდა, არყის სუნად
ყარდა.

— რა გინდათ, თქვე მგლის ლეკვებო, ლუქმას
ალარ შეაჭმევთ კაცა? ამ ქალაჭია დღეს სოფელში დავ-
წანწალებ.

ყველას ერთად არ გვეტყვისო, წაგვჩიურჩულა ლა-
ლებ. ეგენი არ შუაში არან. შენთან მარტო მე და რა-
მიზს გვაქეს საქმეო, უთხრა და განზე გაიყვანა. მეც მი-
ვედი.

— მხოლოდ კაცურად, გულაბდილად გვითხარი, არ
დაგვიმალო. — განდობილივით ეტუტუნებოდა ლალე.

— ყველაფერს გეტყვით, თუ სამხედრო საიდუმ-
ლოება არ არი.

ამან კი შევაფიქრიანა.

— ლალა ძია, ჩეენში ეგეთები მოდის? — შესცინა
ლალებ.

— როგორები? — იყითხა ლალამ და წერის მოუკი-
და. სავარტელა ასანთი განვებ შეატრიალა ხელში, რომ
დაგვენახა, ნაფაზი დაარტყა და ხველებით ჩაბურდა.

— როგორები და ისეთები, რომა თითქოს უცხოები
ვიყოთ, ისე გველაპარაკები. — კუსაყველურე იმ იმე-
დით, რომ ორი დღის წინათ ჩვენსას დაღული აჩაყი
გაახსენდებოდა.

— ხომ იცი, გულაანთ ბიჭო, ჩემი კუბლირასავით

მიყვარხარ. მაგრამ სამხედრო საქმე მაინც სხვაა.

— ჩვენც ხომ სამხედროები ვართ, არ გინახავს, უმო-
რიგობათ ხოლმე?

ლადა აქეთ-იქეთ ატრიალებდა თავს, მაგრამ ვერ ვა-
მეგო, მე მიყურებდა თუ ლალეს.

— რა გინდათ, გამაგებინეთ? — გვკითხა ხველებ-
ხველებით.

— ვანდა მასწავლებელს მართლა მოუვიდა შვილზე
შვი ქალალდი?

ლადამ თავი აარაცრაცა, ალბათ ძალიან უნდოდა,
თვალებში ჩერხედა ჩვენთვის, ხან ერთს მოგვიბრუნდა
და ხან — მეორეს.

— საქმე გამოგვლიათ? — შემოგვლრინა, — დამეკა-
რენით აქედა!

ფეხი არ მოვიცვალეთ.

— მამაშენმა არ დაგარიგა, სხვის საქმეში ნუ ჩაე-
ჩეოთ? — ქოჩორში ხელი წავლო ლალეს.

— ის სხვა არ არის, ჩვენი მასწავლებელია...

— ზოგჯერ არ ვუჭერებდით, ვაბრაზებდით კიდეც...
რომ გვცოლდნდა, ასე აღარ მოვიქცეოდით...

ველარაფერი აწამა, ყურებაკეცილი თბილი ქუდი
ორჩერ მოიხადა და ისევ დაიხურა. აცანცახებულ ნიკაპ-
ზე შეივლო ხელი და თავი ჩაღუნა.

— სიტყვა მაქვს მიცემული...

მე და ლალე გაუშრით.

— კი მაგრამ, წერილები... წერილები ვიღასგან
მოსდის?

ლადამ პირი აგვარიდა და ჩანთაში მოაფათურა
ხელი.

— შვილის მეგობრები სწერენ, თავისი ყოფილი მო-
სწავლები. აი ახლაც აქა მაქეს ერთი წერილი. — ჩან-
თიდან საბეჭუთხა ბარათი ამოიღო და გამოვიწოდა.

უხმოდ გამოვბრუნდით. ჯერ თვალებადეცცეული მე-
ლისი, მერე ასმათი დაგინახე, მერე-ლობესთან ატუზული
ბიჭები. კრინტი არავის დაუძრავს. გველოდებოლნენ
რას ვიტყოდით.

— წერილებს თურმე მოსწავლეები სწერენ... თავისი
ყოფილი მოსწავლეები, — თქვა ლალემ და წინ წავიდა,

— ჩვენ კი...

მდუმარედ მივდიოდით.

— ასა, საყვარელო, შენი ლურჯი ქაბა მაინც მათ-
ხოვე. — მხრეშე ხელი მომხვია და ჩაშჩურჩული მელ-
სიბ.

კერაფერს მივუხვდი. რაში დასჭირდა ჩემი გამონა-
ცვალი, როცა ახალი ქაბა აცვია-მეტქე. გაკვირვებით შევ-
ხდე.

— ამ მხიარული ქაბით როგორ წამოვიდე? — მელ-
სის დიდორონი თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

ბიჭები გარეთ გვიცდისნენ. ვანდა მასწავლებელთან
ვაპირებდით წასვლას.

ახლავე მივიდეთ და ველაფერზე ბოდიში მოვუხ-
დოთ, უუბნებოდა რამიზი ბიჭებს. ფანჯრიდან ვუყუ-
რებდი.

„აი როგორები ყოფილი თურმე. მოზრდილი კაცე-
ბივით დაფიქრებულები დგანან. რამიზს ნიკაპზე
მოუდევია მელნიანი ხელი და განზე იყურება, ლალე სა-
ხედარუშებული და შემკრთალი ჩანს, უქებთან უფრო
ჩამუქებია ჭოროფლი, შუქოს მოქანცული იერი გადა-
ჰქრავს. ყველას თვალს არიდებს, თითქოს გულაბრუ-
ბულია ყველაფერზეო, თეზოს კი ძალიან ნაზი და ჭიკია-
ნი სახე აქეს... ჩემსავით ნაღველს თუ გაუგო გემო“.

— ჩეარა, გოგო, მომიძებნე ქაბა. — მელსის სველი
წამწამები უბზინავდა.

უნებურად გაბუცინა.

— რომელ კაბაში გინდა ჩაეტიო? — მივედი და
დავეტოლე. შეთლი თავით მაღალი გამოჩნდა.

დაგვინახეს თუ არა, რომ სახლიდან გავედით, ბი-
ჭები წინ წავიდნენ.

— დვდავ ჩემო, რამხელა წუხილი უტარებია მარ-
ტოცას. უცხო მხარეში გადმოკარგულს... საბრალო ვან-
და მასწავლებელი... ზამთრის გრძელ ღამეებში, სიცივე-
ში, სიბრძლეში გაძლება არ უნდოდა? — ჩურჩულებდა
მელსი.

მზე ახალი ჩასული იყო და მის მაგიერ წითელი
ღრუბელი ანათებდა სოფლის თავზე.

გზისპირა სახლის ღია აივანზე ვიღაცა ქალი ტიროდა
მოთქმით,

— სონაა, — თქვა რამიზმა, — წერილი მოუვიდო-
და. უმცროსი ბიჭის წერილილ მოსდის და იმას შეს-
ჩივის ხოლმე, როცა წერილი მოუვა. მანტვე ხარ იქ-
ნება შენი ძმებისა და მამაშენის ამბავი შენ უფრო
გაიგოო.

ბინდდებოდა.

ვიწრო ორლობეში დავუხვიეთ და მანეულით მოწნუ-
ლი ჭიშკარის შესვლის ვერ ვძედავდით, მერე, როგორც
იყო, რამიზი შევაგულიანეთ. არაფერი უთქვამს, ერთი
კი შემოგვხედა საყვედურით და ფრთხილად შეაბიჯა
ღია კარში.

ჭიშკარში შესვლის ვერ ვძედავდით, მერე, როგორც
იყო, რამიზი შევაგულიანეთ. არაფერი უთქვამს, ერთი
კი შემოგვხედა საყვედურით და ფრთხილად შეაბიჯა
ღია კარში.

მელსის ჩემი მკლავი ეჭირა და მთელი ტანით თრთო-
და. ბიჭებიც გაბუსხულები იდგნენ. რამიზმა დაავიანა.
გულმა ვეღარ მოგვითმინა და ერთიმეორის მიყოლებით
შევედით ეზოში.

საქმოდ ბნელოდა უკვე. რამიზი აივნის მოაგირს
დაყრდნობოდა და თითქოს გაქვავებულიყო. ფეხაკე-
ფით მიუვახლოვდი და ღია ფანგარაში შევიხედე.

ოთახს ლამპის შუქი ანათებდა. ვანდა მასწავლებელი
მაგიდასთან იჯდა თავჩაქინდრული. ნიავი ოდნავ უტო-
კებდა შუბლზე ჩამოშლილ თეთრ თმას. მაგიდაზე თეთ-
რი ისამნებით სავსე საყვავილე იდგა. აი, მასწავლებე-
ლი შეინძრა და საყვავილესკენ წაიღო გამხმარი, აკანკა-
ლებული ხელი. რაღაცა აიღო, ჯერ სარკე მეგონა, მერე
მივხვდი, რომ სურათი იყო... ჩარჩოში ჩასმული შეილის
სურათი. სულ ახლოს მიიტა. ორივე ხელით ეკვა და
თვალებით ეალერსებოდა.

უცებ თავი მაღლა ასწია და ლამპის შუქზე ცრემ-
ლით სველი ყვრიმალები აუბრწყინდა... ვანდა მასწავ-
ლებელი ტიროდა.

ბიჭები სუნთქვაშეკრულები იდგნენ ჩემს უკან. რა-
მიზმა თავი ჩალუნა.

მასწავლებელმა რაღაცით იგრძნო ჩვენი იქ ყოფნა;
სურათი მიაუღდა, თვალები შეიმშრალა და წამოლგა.

იმავ წუთს წანარად ღაიძახა რამიზმა: „ვანდა მას-
წავლებელი!“

ღია კართან შევგაუჯდით, მასწავლებელი გვიყურე-
ბდა, მაგრამ თვალებს არ უჭერებდა, ალბათ უკეირდა,
ამ უდრობობას აქ რისთვის მოსულან.

— შემოდით... ოთახში შემოდით. — როგორც იყო
მოახრხა და ოთახის შუაგულისკენ გვანიშნა.

ბიჭებმა წინ მე და მელსი გაგვიშვეს. კარის ზღურბლს
ძლივს გადაცემით და იქვე გავჩერდით... აღარ ვიცო-
დი, საით წამელო ხელები.

უხერხული სიჩურე ჩამოვარდა.

ვანდა მასწავლებელი არაფერს ამბობდა. ვუყურებდი
და თითქოს ვეღარ ვცნობდი: მოხუც, განგატენილ ქალს

ჰგავდა, თითქოს სამუდამოდ ჩაჭრობოდა ნაცრისფერი თვალების შექი.

— ხომ არაფერი მოხდა? — შეგვეკითხა დაღლილი ხმით.

— თქვენთან მოვედით, პატივცემულო... — ხმა ჩამიწყდა.

— და კიდევ ბოლიშის მოსახლელად მოვედით, ვანდა მასწავლებელო, — ყველაფერზე ბოლიშის მოსახლელად. — უთხრა რამიშმა.

ვანდა მასწავლებელს თვალები წამოენთო, ალერსიანად შემოგვხედა და იმ შუალში უკვე სხვანაირი მეჩვენა.

— არ ვიცოდით... გვპატიეთ. — ამას ლალე ამბობდა.

დუმილი ჩამოვარდა. ბიჭები საყავილებზე მიყუდებულ სურათს მისჩერებოდნენ. ახალგაზრდა მფრინავი თოთქეს ჩვენ გვილიმოდა და თაგმოწონებით გვეუბუაოდა, აი, რა ჯარები დედა მყავსო.

თოაბში დიდხანის იდგა დუმილი და ალბათ ყველამ ვიგრძენით, რომ ყველაზე დიდი სათქმელი სწორედ ამ დუმილში ითქვა.

მასწავლებელი სულ ახლოს მოვიდა. ბიჭებს ალერ-სით გადაუსვა ქოჩრებზე ხელი და ჩვენ შუა ჩადა.

— გმაღლობთ, ჩემი კარგებო... გეყოფათ, დამშერდით და შინ წალით. — გვეუბნებოდა აცრემლებული, მაგრამ მაინც ალერსიანი.

ჭიშკარამდე მოგვაცილა.

ბიჭები როცა ეზოდან გავიდნენ, თითქოს დიდი ქალები ვყოფილიყავით, მე და მელსი ჩამოვიტოვა და გაგვენდო.

— დღეს მისი დაბადების დღე.

სახლამდე ვეღორ გვაჩქმე მელსი, სულ დიდი ხმით ტიროდა. სანამ რამიშმა არ უყვირა, არ გაჩერდა.

— წამოდი, საპონი წამოიღე, — მითხრა რამიშმა, — შენც წამოდი, — მიუბრუნდა მელსის.

— რა განდაბად მინდა ჭირიანი ლორის ხორცით გაკეთებული. საპონი, მაშინაც საჩეცი რომ დავრეცხე, ერთ კვირას საჭმელს ვეღორ მივეკარე.

— ნუ გვინია, ახლა ისე აღარა ყაოს, დედამ დაფნის ფოთოლი უყო. — იცინდა რამიში. — თანდათან სტატება.

— წამოვალ, სჯობია ბნელში წამოვილო. არ დავინახავ მაინც. — თქვა მელსიმ.

ასმათი და მელსი რომ გავისტუმრე, შინ შევედი და პირქვე მივწევი საწოლზე. დედა მეზობელთან იყო გადასული, ომარი კი (ჩემი პატარა ძმა) ბებოს ჭყავდა თავისთან წაყავილი. ჩაწეული ლამპა ოდნავ ანათებდა ოთხს, კოჭლი კაცის ნაბიჯებივით ისმოდა ძველი კედლის საათის ხმა.

„ომ-ში ყველა გა-რის-კა-ცე-ბი ვართ“; თითქოს და-მარცვლით ამბობდა საათი.

მთავარია, არ მოეშვა, არ დაგლახაკედო, იტყოდა ხოლმე ვანდა მასწავლებელი. ი თურმე რატომ ამბობდა... თვითონაც გარისკაცი ყოფილა, ბევრის ამტანი და მტეცე... თუ გარისკაცობაზე მიღებას საქმე, ვანდა მასწავლებელი სულაც არ იქნება რიგითი... როგორი არწივები დაუზრდია.

ეცადეთ სულით არ დაჩივრეთ და ყოველგვარ გაჭირვებას ადგილად იტანთო. დღენიაღავ ამას გვარიგებდა. მე ბევრჯერ ვიგრძენი ამ სიტყვების სიმართლე. ამასწინაათ ბებოს ვახლიდი ქალაქის გაზარში, ვაშლისა და ჩირის გაყიდვაში ვებმარებოდა. მხოლოდ ბაზარში მივხვდი, რატომ დაიჭირა ბებომ ჩემი წაყვანა. დახლებს შუა

ჩემიქბილა ბიჭები დაწანწალებდნენ და ზილუ იტერებდნენ დახლებიდან. მე ბებომ მცველად დამაყენა დახლის გარედან. აუკი მეტი საქმე არ გეონდა. ბაზრის მაწანწალებს ვადევნებდი თვალს და ამითი ვერთობოდი.

უცბად ორმა ბიჭმა ჩამირბინა გვერდით, ხის ყუთებიდან ანაგლევი ფურებით ხელში, გადაპერეს ფურები დახლს და დიდობონი ვაშლები აიტაცეს. მაშინაც მიუხდი, რომ ფურის ბოლოებზე ლურსმნები ჰქონდათ და წობალი.

ერთ მათგანს მელნით მოსვრილი შარვალი ეცვა და იმაზე მივხვდი, რომ მოსწავლები იყვნენ. ძალან მეტკინა გული... პიონერი და ქურდაცაცა?

კუჭიქრობდი, თუ კიდევ ჩამირარეს, ვეცმი და დავკრებეთქი, მაგრამ თან შეშინოდა — ზოგის ხელში და ნასაც გხელადი. ცუდი წარმოდგენა დამრჩებოდა ქალაქელ ბიჭებზე, ბაზრიდან რომ ადრე წამოვსულიყვა. კიდევ კარგი, რომ იქვე შევესწარი გლახაკების განკითვის დღეს. არ ვიცი რა ჭრევა იმ გაუფებს; „პიონერული პატრული“ თუ კიდევ სწავლი არ გაუფებს; „პიონერული გამოჩინდნენ ეტყობოდა, ყველა გასასვლელი და გასაძრომი ადგილები ეკავათ, რაკი ყველა ქურდაცაცა. დიდი თუ პატარა, ერთბაშად აწრიალდა.

პიონერებს ძალიან მეაცრად უჭირათ თვე. სულთად ჩაცმულები ამაყად დაბიჭებდნენ ხალხმრავალ ბაზარში. გაშმაგებულები ექცებდნენ თავიანთი რიგებილან გამოპარულ მოღალატეებს.

ისინი გასასვლელთან მოაგრივეს. გულია ველია მომითმინა და ახლოს მივედი მათ სანახავად. სულ ექვსნი იყვნენ. უნდა გენახათ, რა საცოდავად იდგნენ უნდან გების გვერდით: ვირტხებივით იყურებოდნენ, დამფრთხლებები და შეშენებულები.

მაშინ მივხვდი რას ნიშნავდა სულიერი დაჩივება. მართალია ვანდა მასწავლებელი, მის დროს ყველინი ჯარისკაცი ვართ... აქაც შეიძლება ჩაიდინოს ადგინანმა მიუტევებელი ღალატი. დედის შორეული ნათესავი — ელამი დარია ქმარს აღარ დაეღლოდა და ფეხმოგრეხილ საწყობის გამგეს გაჟყვა სხვა სოფელში, მერე რა, რომ მისი ქმარი უგზო-უკვლოდ იყო დაკარგული?

დედა კი გმირია, ნამდვილი გმირი. სამხედრო სესხის იბლივაციებს რომ დაარიგებენ ხოლმე, ყველაზე დიდ თანხაზე აწერს ხელს. შარმან ზაფხულს რომ მიწამწვარა გამიჩნდა ლეხისიგულზე და ლამებებს თეთრი თვალით ვათენებდი, მას შემდეგ ფეხშიშველა აღარ გაუტარებივან, ფეხსაცმელების დაკერებაც კი ისწავლა. სატანკო კოლონის ასაგებად რომ ფული შევიტანე, მაშინაც მისი იმედი მქონდა, თუმცა ბებომაც ამიდა მხარი, რაც დამაკლია ის ფული, მან ასამიმატა... არს, არა, ძალიან ყოჩარია დეოთა... საკვირველი ის არის, საპნის გაკეთება რაღამ მოატერა, ან სად ისწავლა! გაჩინდებოლონის ჭირი და იცოცხლე, საპონი ყველას თავზე საყრელად აქვს სოფელში... მაღლობას რომ ეტყვიას, ისიც კი ეჩოთირება. პეტრეს მზე უნდა იფიციონ, იმას მოაქვს საპნის სოფათ, ეტყვის ხოლმე შეზობლებს...

მელსი სულ ვერ იტანს შინაური საპნის სუნს. მდინარეზე ჩაიტანს ხოლმე გარეცხილ სარეცხს და საათობით უყრია წყალში. მას შემდეგ, რაც მუნი იხადა, თვალს ველარ მისწოდებს, თითქოს რცხვენია ჩემი. წელან. რომ ტიროდა, მაშინ შემომხედა პირველად... არ მეგონა, თუ ასეთი დიდობინი თვალები ჰქონდა, ნაღვლიანი, დიდობინი თვალები... გოვინდები ჩვენზე, მალე იზრდებიან...

დედა შემოვიდა. მხედვებილან შალი მოიხსნა და მაგიდაზე დადგა ბურღლილით სავსე ვედრო.

— ხელსაფეხვაცის ტრიალით მხედვები ჩამომცველე? — საწოლთან მოვიდა, გვერ-

დით მომიჯდა და თმაში შემიცურა ხელი. — მამაშენის წერილი მოვიდა, ნახე? მაშინვე ფეხზე წამოვიტერი. მაგიდასთან მივიჩნიე და საქაუთხა ბარათი გავხსენი.

— ხმამალლა წაიკითხე. — მთხოვა დედამ.

დაყუურებდი უსწორმასწორო ასოებით აჭრელებულ ქაღალდს და ცრემლით მევსებოდა თვალები. დედის შრცებინდა, მაგრამ გული თავისას შვრებოდა. ლაპასთან ახლოს მივიღი, დიდისგან ზურგშექცევით დაედექი და ბოლომდე ჩავიკითხე. თითქოს სულ ყელში მებჯინებოდა, ძლივსა ვსუნთქავდი. მამა შორიდან, მეტისმეტად შორიდან მელაპარაკებოდა, მაგრამ მე მაინც მესმოდა მისა ხმა, გულისყურით ვუსმენდი მის ყოველ სიტყვას. მარიგინდა, რა როგორ გამექეთებინა ოჯახში, მესიყვარულებოდა. მან არ იცოდა, როგორ მიჭირდა უძინილდ. მამა თვითონ ძლიერი იყო და ამიტომ არ იცოდა, რა მძიმე იყო ჩემთვის მისეული უდევი: ტყეში და წისქვილებში დღედალას სიარული, ვენახის მოვლა და ყავყვა ლადიმერს ბრიგადაში მუშაობა...

— დილაზეცე მისწერე, შვილო, კარგად ვარო-თქო, ჩენწე ნურაფერს იდარდებ, მტერს არ გავაცინებთ, მაგრად ვიქნებით-თქო.

გვიან ფავიძინეთ.

იმ ღამეს მამა დამესიზმრა. შაბიანინი ტანსაცმელი უცა და ვენახილან მოლიოდა აპარატმოკილებული. მინარება, რომ უკვე სახლში იყო მამა, რომ დილის ძილის გაბრტყელებაც შემეძლო და ბავშვებში თამაში, ჩენ კარებზე ცველა მომსვლელს მამა გასცემდა პასუხს.

დილით რომ გავიღოიდე, დიდხანს ვიწერი გაუნდრევად ლოგინში და სიზმარში ნახულს შევხაროდი.

დედამ დამიცაცხანა და ფეხზე წამომაგდო. სანამ სკოლაში წავიდოდი, ძროხისთვის უნდა მომევლო, სანამ დედა ძროხას მოწველიდა, ხბო უნდა მშეროდა, მერე კი გავეთილებისათვის უნდა გადამევლო თვალი.

გავეთილებისთვის თვალის გადავლება არც თუ

ვანდა მასწავლებელი ბოლო გაკვეთილზე შემუშავდა. ჩეცულებრივზე უფრო გამხდარი და ფერმიხდილი ჩანდა. „ნუთუ სჯრა შეილის სიკვდილი?.. ნეტა როგორმა სიზმრებმა აწვალა ლაშით როგორ იხილა შეილის დალუპვა, ალმოდებულ თვითმფრინავს ხედავდა თუ საძმო საცლავის ვარსკვლავებით აუერადებულ ყორანს?... შეიძლება ცოცხალი ნახა და ალერსით გული იჯერა“... — რამიზ! — ცარცი. გამომიწოდა და დაფისკენ მანიშნა.

გაკვეთილების შემდეგ შინ წასულებს ზორბეგა წამოგვეწია ქაქანით და გვითხრა: ახალი ამბავი გავიგე, ლექსა ფრინატზე წასულა ამ დილითაო. — არ დავუჭრეთ.

— გუშინ ტრაქტორი იმიტომ შეუკეთებია, რაკი წასვლას აპირებდა. მაშ რა გგონიათ, რისთვის გამოუმახს ლალესა?

მაღალი, ტრექი ბიჭი იყო ზორბეგა, წელს პირველად იყო ჩვენს კლასში, დარჩენილებიდან შემოგვემატა. ტყუილს ცერცვივით ამნევდა ხოლმე და ამიტომ არც ახლა გვერდოდა მისი.

— თუ არა გერათ, წადით და თქვენი თვალით ნახეთ, ვინ ამუშავებს ნაცუზარში ტრაქტორსა.

მაინც, შენი აზრით, ვინ ამუშავებსო, უნდოდ ჰეითხა შუქომ.


— ჩემი აზრით კი არა, აი ემ თვალებითა ვნახე, რომა ლალე იჯდა.

ახლარა გავვახსენდა, რომ ბოლო გაკვეთილზე ზორბეგა არ ჩანდა. განდა მასწავლებელს მაინც როგორ გამოჩა?

სოფელში ვისაც შევეკითხეთ, არავინ არაფერი იცოდა. ბოლოს დალაქ დათასთან შევბედეთ შესვლა. სამართებელს ლესვედა, ზედ არ შემოუხდავს, ისე გვიპასუხა, ეს არის ერთი საათის წინ ეტლით წავიდა სადგურში.

— ჯარში გამოუძახეს?

დათა სამართებლის ლესვას მორჩა და ერთი შემო-



იოლი საქმე იყო. რაკი წიგნები არა გვქონდა, ცველა-ფერს რვეულებში გვაწერინებდნენ.

სკოლისაკენ მიმავალს გზაში ბიჭები დამემგზავრნენ და მათგან გავიგე, რომ ლექსა სულაც არ ყოფილიყო ავად. ზორბეგა ამბობდა, კალოებზეა და ტრაქტორს არე-მონტებსო.

მესამე გავეთილზე ახალი შესულები ვიყავით, რომ ლალე გამოიძახეს სამასწავლებლოში. დიდი ხანი არ გასულა, ისევ შემობრუნდა და წიგნი და რვეულები წამოკრიფა თავის მერხიდან. სად მიღინარო, ვაზიშეთ, მაგრამ არაფერი გვიძასუხა.

აზა მარტო იყო და მელის მასთან გადაჭდა პირველ მერხზე, ჩემთან კი შუქო გადმობარვდა. ძალიან მოწადინებული იყო, რომ მასწავლებლისთვის თავი ეჩვენებინა და ახერხებდა კიდევ, კითხვებზე საპასუხოდ სულ მალა ეჭირა თითი.

გვბლვირა. იდგა და სამართებელს უსინჯავდა ფხას. აჩქარებული სუნთქვადა და ათავ ხმაზე უმღეროდა ფილტვები.

— წამო, გამოეცალე, ვერა ხედავ, დაბოლმილია. — მითხრა შუქომ და მაშინვე გარეთ გავცვივდით.

შუა გზაზე ვიღებით და აღარ ვიცოლით რა გველონა. გოგონებმა გამოიარეს სკოლიდან და ცერცვა დაგვიწყეს, ალბათ პიონერსკლმდლვანელს თუ ჰყავდა დატოვებულები. ბი. მანდ რას აკეთებოთ, დაგვიძახა ასმათმა. რაკი ხმა არ გავეცით, თვითონ მორჩინა და მელსიც თან შოკილა.

— არა შერა. — თქვა, როცა გაიგო, რაშიც იყო საქმე, — როგორ დავიჭრო, ისე წავიდა, რომ გაცილება არავის გასხვნებია.

— რა ძროს იგებია, გოგო, ვერ გაიგე, რომ მიმა? „ნუთუ მართლა არავინ გააცილა, სულ არავინ?“

— თუ მართლა ერთი საათის წასულია, სადგურზე 9

ჩავუსწრებთ, ზემოდან გვიან მოდის მატარებელი, — თქვა შუქომ. — ზორბეგ, წამო, პაპაშენის ჭორი შევაბათ.

— ცემით მომკლავს.

— შერიგება ჩემზე იყოს. — შუქომ ხელი მოჰკიდა ზორბეგას და ორევენი აღმა გაიქცნენ.

ასმათსა და მელსის მივუბრუნდი. თქვენ ხომ მაინც არ წამოხვალთ, წიგნებს გაგატანთ-მეთქი შინ. ასმათმა თეზოსაც გამოართვა წიგნი და რვეული, მელსის რაღაც წასჩურჩულა და ორივემ სახლისკენ გაკურცხლა.

ლოდინით გული გადაგველია. ის იყო ზევით გაპირებდით წასვლას მე და თქზო, რომ ბიჭებიც გამოჩენდნენ, საექიმის ორთვალაში თოთიას თეთრი ჭორახენა შეებათ და მეეტლის კოფოზე წამოსკუპებულიყვნენ. ზორბეგას უჭირა ალვირი.

გავვიჩერა, დაგვსხა და, კიდევ ხომ არავის ელოდებით, გვითხრა. ის იყო დავიძარით, რომ გოგოები აკვალდნენ წყაროს მხრიდან.

ასმათი და მელსი მორბოლდნენ და თან სავსე ჩანთას მოაქნებდნენ. ასმათი ბიჭივით მარტად მორბოლა, მელსი კი მორტცვობდა, ცალი ხელით კაბის ბოლოს ისწორებდა.

აირწინალის ჩანთაში არყით სავსე ჩარექიანი ბოთლი იღო, კომშები, ვაშლი და კაყალი ეყარა. თქვენსას ყველაზე ბოლოს შევიჩინება, ეს ჩირი და ჩურჩელები დედაშენმა გამომარტანა, შესცინა მელსიმ თეზოს.

ჩირიც და ჩურჩელებიც რომ დავამატეთ, ჩანთა ძილიგუდასავით გაბერა, ძლივს შევყარით.

ზორბეგამ თავისებურად დაუწიუპუნა ჭორს და დავიძარით.

— აბა, დამთხვეულებო, არსად გადაცვიდეთ, ლექსას მშვიდობით დაბრუნება უსურვეთ. — გოგონები ხელს გვექნევდნენ და უკან მოსდევდნენ ორთვალს, სანამ ჭორი ოთხზე არ გადავიდა და ბუმბულივით არ მოიტაცა ეტლი.

სოფელს რომ გვცილით და მინდორში გავედით, ზორბეგამ შოლტის ტარი ნაფურისკენ გაიშვირა.

— აგრე, სად მუშაობს ლალე, გინდათ გავუაროთ?

— რა დროს ეგ არის, გაჭერეო, შეუტია შუქომ. ვენახებამდე სულ ჭენებით ვიარეთ, მაგრამ ბოგირს რომ მივუახლოვდით, ჭორი გავიოჩნდა, არაფრით არ უნდოდა ბოგირზე გადასვლა. ზორბეგა დაბლა ჩავიდა, ჩიჩირზე ხელს უსვამდა და უყვავებდა: კარგი, ბორია, გაბედე, როგორმე გაბედეო.

— მიდი, ბორია, მიდი, გაბედე, თუ გიყვარდე. — დასძხოდა კოფორდან შუქომ.

ბორიამ როგორც იყო გადაირა ხიდი, მერე კი ალბათ შიშისა თუ სიხარულისაგან ისეთი გოხინი ატეხა. რომ იქაურობა შესძრა.

მზე დასავლეთისაკენ იყო გადახრილი, ვერხვებს გზაზე გადმოეთინათ შრიალა მწვანე კაბები, გზის მთელ სიგრძეზე ქარით დარწეული ჩრდილები ფარფატებდნენ.

ბიჭები მხარიმხარ ისხდნენ და, რაც უფრო ვუალოვდებოდით სადგურს, ლაპარაკის ხალისი დაეკარგათ. თეზო ჩემს გვერდით იჯდა და ნალვლიანი თვალებით გაჟყურებდა სადგურის თეთრ შენობას.

რკინიგზა თავისუფალი იყო. ტელეგრაფის მაგთულებქვეშ გავიარეთ. მავთულებზე ჩიტები ისხდნენ.

— ე მაგ ხაზზე ამბობენ, სხვა სახელმწიფოსია, აბა შეხედეთ, ბოძებიც სხვანაირია, აქეთ-იქიდან სოკოებივით აქვს ასხმული თეთრი ჭიქები. — მეუბნებოდა თეზო.

— სხვა სახელმწიფოსი კი არა, ის არ გინდა? ჩვენს

საზღვარზე ფრინველს არ აჭაჭანებენ და მაგას მფრინულებნენ? — შეედავა ზორბეგა.

— შეთანხმებით ყოფილია. — არ დაუთმო თეზომ.

— ასაზღად დიღ თხრილს წავადექით, რასაც გაიტანდა, თხრილი მიწით იყო სახელდახელოდ მოვსებული, მაგრამ მიშა კარგად არ იყო დამგდარი. ხელმეორედ დაგვპირდა ბორის ხვეწნა და შეგულიანება.

ამასმაში მზე ჩაიწვერა. სადგურთან უკვე ახლოს კავალით ართქმლებაში მოძრაობაში მოძრაობაში მოძრაობა სადგურთან აღმართულ მთებს და ექოდ დაშალა. ხილისკენ გავიხედეთ. მძიმედ მოდიოდა სატვირთო მატარებელი. დალილი კაცივით ხვეწნით მოდიოდა ორთქლმავალი. გრუზენით გაღმოიარა ხიდი და სიჩქარეს უმატა, სულ არაფრად ჩაგდო ჩვენი სადგური.

— ე შელონია, — ვუთხარი ბიჭებს, — დასავლეთისკენ მიდის.

— ხალხი არ მოჩანს ზედ, სამხედრო საჭურველი უმიაქვს. — თქვა თავისოვის თეზომ.

— ფრინტზე მიედინება. — ამოიახრა შუქომ.

ჭორბენა თანაბარი ნაბიჯით მირბოდა. ორთქლმავლის შორეულ ხმას ასდევდა მისი ჩაქჩარი. უკანასკნელი ბოგირი საქმაოდ განიერი იყო და ბორის ხვეწნა აღა დაშირებია. გრიხინით გადაგვატარა.

— ვითომ ჩამოვუსწარით? — შევხედე ბიჭებს.



ბინდულებოდა. ზორბეგამ აკაციების ქვეშ გააჩერა ორთვალა და მაშინვე სადგურის შენობისკენ გავიძებით. ლექსა სადგურში არ დაგვხვედრა.

— ზემოდან არო არაფრენს ჩამოუკლია, რას უნდა გაჟყუროდა? — შუქომ დამნაშავესავით ეჭირა თვაი.

მოვდეჭით და ძებნა დაუუწყეთ, ხომ არსაც შეიძარებულის ადრე აღრი აქეთ ჭიქებს ჩამოვდევდით ხოლმე და საცა ერთი კუნჭული იყო, ვიცოდით.

ლექსი არსად ჩანდა.

— ეტლი მინც სად გაქრა? — დაყეჭვდი მე. — გამოის, რომ ექველა არ მოსულა.

შექმნაში იტყიცა ხელი, როგორ ეცნ მიეცვდი, რაონში გამოცხადდებოდა, პირდაპირ იქ წილებინდა მე-იტლერ.

ბეჭედებოდა. გამოცხვენდას აზრი აღარ ჰქონდა. თავებინდა გამოცხვენდა კიდევით ბაქანზე.

საღურში მატარებელი შემოლიოდა. მორიგა გამოვიდა და მწვანე-ყვითელი ალამი ასწიო.

მატარებელმა გვერდით ჩაგვიტროლა და ქვანახშირისა და მაზურის სუნი შემოგვაფრევია. დიდი სისწავეთ მიგვლადნენ ლია და დახურული ვაგონები. მაღლა უშეუტრილ ქვემეხებს მწვანე ტოტები ერტოო ლულებში. მანქანის კაბინებში აქა-იქ ჯარისკაცები იდგნენ.

— ესეც დასავლეთისკენ მიდის. — თვალი გააყოლა უზომ.

— რამოცდასამი ვაგონი იყო. — თან უხაროდა და თან ენისჭოდა შუქოს.

ცოტა ხასი კიდევ კიდევით ბაქანზე.

— წამოლით, ჩაინაში წავიდეთ, — გვითხრა ზორებეგამ, — ჯინიანი ჭორცენაა, გვატარებს.

— გომლევნების აზრი არა აქვს, ველარც იქ ჩავუსტებთ. — ვუთხარი ბიჭებს და გრძელ სკაზე ჩამოვჭერი.

ხიდის მხრიდან კვლივ მატარებლის ხმაური მოისმა, იქით დავიწყეთ ცქერა, გვინდოდა გამოგვეცხო, სახელხო იყო თუ სატვირთო. ელმუზალმა მტკვრის ქარი მოიყოლა. ჩვენს წინ პირველ ლიანდაგზე შემოგრიალდა და ზანზარი აუყენა ბაქანს. მძიმე შემაღენლობის მატარებელი ჩანდა. რამდენიმე ვაგონი რომ გაგვიცდა, მაშინ მიეცვდოთ, რომ სამხეფრო უშელონი იყო. ლია ვაგონებზე ერთმანეთისკენ ხორთუმმიშვერილი ტანები იდგა. — ზოგან შეგავშენები თვითმვალები და მანქანებიც მოჩანდა, გადახურულ ვაგონებში კი ჯარისკაცები ისხლენ.

მატარებელმა სვლას უკლი. ერთმანეთს ეჯახებოდნენ დამუხტრებებული ვაგონები. „ზა როდინუ, ზა სტალინა“, უკითხულობდით ხმაბალი თეთრ წარწერებს მწვანელ გადალებილ ვაგონებზე.

— ვითომ ამ ზაფხულსაც დაგვახევინებენ ფაშისტები?

— ზამთარში იმიტომ დავიწიეთო უკან, რომ ტექნიკუ ველარ ვიყენებდიოთ.

— ტექნიკა ახლა ჩვენი იყითხონ.

— ხელვეთ, ბიჭებო, ეს სატანკო კოლონაა, წელი რომ წავიდა, ის კი შერეული იყო. — მძმობდა თეზი.

— ვინ იცის სწორედ ის არის.. ჩვენი სატანკო კოლონა.

— „საქართველოს ნორჩი პიონერი“? არა მგონია. ვითომ ასე ზიალე ააგეს?

— რატომაც არა. იცით, როგორ მუშაობენ სამსახური ქარხენები?

მატარებელი ჩერდებოდა.

— მოდი ჯარისკაცებს კითხოთ. — აინირა ზორბეგი.

— შენ ტყავში დაეტი, მიგზავნილი არავის ეგონ. — დასტურა შუქომ. — შენ იცი რა არის სამხედრო საიდუმლოება?. გასცემ და თავი აღარ შეგრჩება კისერშე, თუ უტევინო თავი გამოია, მით უმეტეს.

თანდათან მუქლებოდა ბინდი.

ჩვენ წინ მატარებელი იდგა, მაგრამ ქერ ჩქამი არ ისმოდა შიგ.

„ტარა-23“, „ტორმოზ მატროსოვა“... „სევ. დონ“ „ბელორეჩინსკ“, — ვკითხულობდი ვაგონებზე. ამ წა-

რწერებმა თითქოს წამით გადახსნეს ბინდდაკრულ ცადა ხელმეორედ გამითენეს მშიანი დღე...

...ქლის წერებამდე შემოლასტული ურმის კოტოზე მჯდარი ქერ საღგურის თეთრ შენობას მიერტერებოდი; ჩერე, როცა მამა რკინიგზის ხიდის ქვეშ შეუძლეა კამერებს, ხიდმა და მტკვარმა თვალებად შექციტ. საღგური კი ქვენახშირისა და მაზურის სუნით დამახსოვრდა და კიდევ — ჩიხში ჩაენებული სატერიტო ვაგონებით. ამ ცაგონებს ქონდათ ისეთი ნიშნები, ისეთი უხილავი შორეული გზების მტკვარივით გამჯდარი სიცრცეების სუნი. იქნება ამ წარწერებისაც ედოთ წილი, როცა ვაგონები შორეულ ქალაქებს, ტრამატებში გადაკარგულ ჩემთვის მიუწვდომელ დაბა-სოფლებს მახსენებდნენ. „სევ. დონ“... „ქავეკაცია“... „ხარკოვ“. მეჩვენებოდა, რომ საღგურს დამშასას ქვანახშირის სუნი უდიოდა...

ახლა კი ნაომარი, ფერდებშელეჭილი ვაგონები ტოკავლენ ჩემ წინ, წასასლელად წრიალებდნენ, თითქოს ბრძოლის აზარტში შესულებს შორით ეძახდა აკემლებული სივრცე.

„როსტოვ ნა დონუ“, „ტაგანროგ“ — გრძელები ეწერა ვაგონებზე, მაგრამ ახლა არავის შეეძლო სცოდნები, რა ხელბოლა იქ.

ყვირილმა გამომიყვანა ფიქრებიდან.

— რას გაეს ეს! — ოფიცერი ვაგონიდან ჩამოხტა და სამორიგეოსენ წამოვიდა მგლური ნაბიჭით, — მანქტერესებს, კინ ბედავს სამხედრო ეშელონის გაჩერებას ამ საჭათმესთან. — რადენებით ყველებულ შეკრძალ დურბინზე უქანავებდა, ეტყობოდა, პირველად არ მიღიოდა ოში.

საღგურის მორიგე ჯარისკაციებით გაჭიმული იდგა ბაქანზე.

— ეს საბოტავია, მეტი არაფერი. — ყეიროდა თეზი-ცერი, — ამის გულისტენის ხილს ხერეტენ... გაინტერესებს, კინ ბედავს სამხედრო ეშელონის გაჩერებას ამ საჭათმესთან. — რადენებით ყველებულ შეკრძალ დურბინზე უქანავებდა, ეტყობოდა, პირველად არ მიღიოდა ოში.

საღგურის მორიგე ჯარისკაციებით გაჭიმული იდგა ბაქანზე.

— ეს საბოტავია, მეტი არაფერი. — ყეიროდა თეზი-ცერი, — ამის გულისტენის ხილს ხერეტენ... გაინტერესებს!

— არ შემიძლია, ამხანავ მაიორი, — ხელი აუღო თვალებამოგულულმა მორიგემ, — „დესტრი ტრიუპტრი“ ძლიერ გასცდა ისრებს, მძიმე შემაღენლობა და უჭირს აღმართში.

მორიგის თახისკენ წვეიდნენ. მეტი შეისრე გამოვარდა მორიგის თახისიდან და შეუნიშნისაკენ გაძევა თავ-ცირის მტკრევით.

— საწყალი ჩერინგზები! — ამიობრია ვიღაც კაცმა ჩემს გვერდით.

ვაგონების კარგი თანდათან იღებოდა და ჯარისკაცები იხელებოდნენ. დაბლა არავინ ჩამოსული გუშაგის გეტი.

